

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი/ბხსუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. აფილირება

1. აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას (აფილირების შეთანხმება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან და მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:

ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/ საშემსრულებლო საქმიანობას და ამ საქმიანობიდან გამომდინარე მისი კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება ბხსუ-ს;

ბ) აქტიურად არის ჩართული ბხსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. უნივერსიტეტში არ შეიძლება პირის აფილირება, თუ:

ა) პირი აფილირებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) უნივერსიტეტის გარდა დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რის გამოც მას ხელი ეშლება უნივერსიტეტში დადგენილი აფილირების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებაში, რაც მოწმდება სასწავლო პროცესის მიმდინარე მონიტორინგითა და აკადემიური დატვირთვის წლიური მოცულობის შესრულების გაკონტროლებით.

3. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისათვის და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. აფილირებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია აფილირებული პირი.

მუხლი 3. აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები

1. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს და აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით წერილობით გამოხატოს თანხმობა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მხოლოდ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში აფილირების შეთანხმების გაფორმებით კვლავ დაადასტუროს (დანართი №1; დანართი №2).

2. აფილირების შეთანხმება იდება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელთანაც გაფორმებულია აფილირების შეთანხმება მოახდენს აფილირებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, უნივერსიტეტის ინტერესების/საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის გათვალისწინებით, ან დეკანის დასაბუთებული/მოტივირებული წარდგინების საფუძველზე, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დარჩეს აკადემიურ თანამდებობაზე, ნახევარ განაკვეთზე, შეცვლილი შრომითი პირობებითა და ხელშეკრულებით, სხვა შემთხვევაში მასთან წყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს აკადემიურ თანამდებობას. **(08.10.2021, №05-01/03)**

4. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან 10 დღის ვადაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის ოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.

5. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას.

მუხლი 4. გარდამავალი დებულება

უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება ვალდებულია უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება.